სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს

სტრატეგიული განვითარების გეგმა

სასამართლო
ექსპერტიზის
ეროვნული ბიურო

2020-2025 წლები

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი

ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მისია

ბიუროს სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

- ბიუროს ცენტრალური და რეგიონალური სტრუქტურული ერთეულების ინფრასტუქტურის განვითარება, აღჭურვილობის განახლება;
- ექსპერტიზის სახეობების დამატება, ახალი მეთოდების დანერგვა და აკრედიტაციის სფეროს გაფართოება;
- კადრების კვალიფიკაციის ამაღლება და საერთაშორისო პროფესიულ და ლაბორატორიათშორის ტესტირებებში მონაწილეობის მიღება;
- ექსპერტიზის ბიუროს რეგიონალური მნიშვნელობის სასწავლო ტრენინგ ცენტრის დაარსება;

შესავალი

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო დაარსდა 2004 წელს და დროთა განმავლობაში, წამყვან საექსპერტო დაწესებულებად ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის რეგიონში.

ბიუროს მომსახურებით სარგებლობენ, როგორც სახელმწიფო-საბიუჯეტო ორგანიზაციები, ასევე ფიზიკური და იურიდიული პირები. ბიურო არა მხოლოდ საქართველოს, არამედ უცხო ქვეყნის მოქალაქეების საექსპერტო მომსახურებასაც უზრუნველყოფს, მათ შორის ხშირია მომართვიანობა მეზობელი ქვეყნების მხრიდან.

ბიურო ერთადერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულებაა ქვეყნის მასშტაბით. მისი საქმიანობის სფეროში შედის 500-მდე ტრადიციული და არატრადიციული ექსპერტიზის სახეობა, მათ შორის: ქიმიურ-ნარკოლოგიური, ბიოლოგიური, სასაქონლო-ფინანსური, საინჟინრო, კრიმინალისტიკური, ფსიქიატრიული, სამედიცინო და კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულების ექსპერტიზები.

ბიუროში დასაქმებულია 450 - მდე თანამშრომელი.

ბიურო თავის საქმიანობას ახორციელებს მთელი ქვეყნის მასშტაბით. კერძოდ: ორი რეგიონალური ექსპერტიზის დეპარტამენტით - დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტი (ქუთაისი) და აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტი (ბათუმი). ასევე, ქვემო ქართლის, კახეთის, შიდა ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში განლაგებული სამედიცინო ექსპერტიზის განყოფილებებით.

ბიურო აკრედიტებულია ISO/IEC 17025- 2017/2018 საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

2011 წლის 30 ნოემბრიდან ბიურო არის სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელის სრულუფლებიანი წევრი.

ბიუროს მისია

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიზანს წარმოადგენს მეცნიერებაზე დაფუძნებული, კვალიფიციური საექსპერტო მომსახურების გაწევა, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და ემყარება ხარისხისა და ანალიტიკური საქმიანობის მუდმივი განვითარების კონცეფციას.

ბიუროს მიზანია საექსპერტო კვლევებისათვის გამოიყენოს საყოველთაოდ აღიარებული და დანერგილი სამეცნიერო ტექნოლოგიები, ჩაატაროს მაღალკვალიფიციური ექსპერტიზები და მუდმივად გააუმჯობესოს და განავითაროს საკუთარი მომსახურება.

საქმიანობიდან გამომდინარე, ხელი შეუწყოს ქვეყანაში სასამართლო ხელისუფლების და სამართალწარმოების პროცესს.

ბიუროს კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის დეპარტამენტის პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია, საშუალებას იძლევა ბიურომ განახორციელოს სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტებზე მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობა, რაც ასეთი ობიექტების მშენებლობის ხარისხის, ვადების დაცვის და ბიუჯეტის მიზნობრივი ხარჯვის გარანტი იქნება. შესაბამისად, ბიუროს მიზანს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებების თანახმად განახორციელოს მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობა.

ბიუროს სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

სტრატეგიული მიზანი 1

ბიუროს ცენტრალური და რეგიონალური სტრუქტურული ერთეულების ინფრასტუქტურის განვითარება, აღჭურვილობის განახლება.

ბიუროს სერვისებზე გაზრდილი მოთხოვნების შესაბამისად და საერთაშორისო სტანდარტის გათვალისწინებით, ბიუროს მიზანია გააფართოვოს და განაახლოს როგორც ქ. თბილისში არსებული ბიუროს ოფისები, ასევე ქვეყნის მასშტაბით არსებული რეგიონალური დანაყოფები.

ინფრასტრუქტურის გაფართოვება ითვალისწინებს:

- ქ. თბილისში, ცენტრალური ოფისის ბაზაზე დამატებითი სივრცის მშენებლობას, სადაც განთავსდება როგორც სამუშაო ოფისები, ასევე საექსპერტო ლაბორატორიები;
- ქ. თბილისში კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის დეპარტამენტის ბაზაზე, ახალი ლაბორატორიის სივრცის მშენებლობას;
- ქ. თბილისში ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტის სრულ რეაბილიტაცია/რეკონსტრუქციას;
- ბიუროს სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტში/განყოფილებებში ინფექციური სასექციოს ინფრასტრუქტურის გამართვას;
- ბიუროს, აღმოსავლეთ საქართველოს (კახეთის) რეგიონალური სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის გაფართოვება.

მსოფლიოს მასშტაბით საექსპერტო დარგში გამოყენებული აღჭურვილობები/ტექნოლოგიები მუდმივად განახლებადია. შესაბამისად, ბიუროსთვის აქტუალურია პასუხობდეს თანამედროვე გამოწვევებს ამ მიმართულებით.

აღჭურვილობის/ტექნოლოგიების განახლება ითვალისწინებს:

- ბიუროს შესაბამისი კომპეტენციის და პასუხისმგებლობის მქონე პირების მხრიდან ინფორმაციის მუდმივ მოძიებას ტექნოლოგიურ სიახლეებზე.

- ❖ ექსპერტიზის დარგში თანამედროვე ტექნოლოგიების საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობას, ახალი შესაძლებლობების გამოვლენის მიზნით.
- ❖ ბიუროს ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში ლაბორატორიების აღჭურვილობის განახლებას.

სტრატეგიული მიზანი 2

ექსპერტიზის სახეობების დამატება, ახალი მეთოდოლოგიების დანერგვა და აკრედიტაციის სფეროს გაფართოება

ბიუროსთვის მნიშვნელოვანია მომხმარებლის მოთხოვნების გათვალისწინებით, გაზარდოს ბიუროს ექსპერტიზის სახეობები და დანერგოს ახალი მეთოდები, რომლებიც თავსებადი იქნება საერთაშორისო სტანდარტთან.

ექსპერტიზის სახეობების გაზრდა და ახალი მეთოდების დანერგვა ითვალისწინებს:

- ❖ ბაზრის კვლევას მოთხოვნების შესაბამისად;
- ❖ დასანერგი, ექსპერტიზის ახალი სახეობის რენტაბელობის განსაზღვრას;
- ❖ ბიუროს არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაძლებლობების გათვალისწინებას და ფინანსური რესურსის ფარგლებში ახალი აღჭურვილობის შეძენას;
- ❖ საკადრო რესურსით უზრუნველყოფას;
- ❖ მეთოდების დანერგვისთვის საჭირო საერთაშორისო სტანდარტების შეძენას.

კვლევის ახალი მეთოდების დანერგვასთან ერთად, ბიუროს მიზანია ეტაპობრივად გააფართოვოს საკუთარი აკრედიტაციის სფერო და მოახდინოს კვლევის მეთოდების აკრედიტირება, როგორც ბიუროს ცენტრალურ ლაბორატორიებში, ასევე რეგიონების მასშტაბით.

აკრედიტაციის სფეროს გაფართოება ითვალისწინებს:

- ❖ ბიუროს ISO/IEC 17025 - 2017/2018 სტანდარტით, ექსპერტიზის არააკრედიტებულ სახეობებზე, საერთაშორისო აკრედიტაციის მიღებას;
- ❖ ბიუროს სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტისთვის, აშშ-ს სასამართლო სამედიცინო ექსპერტთა ეროვნული ასოციაციიდან (National Association of Medical Examiners - NAME) აკრედიტაციის მოპოვებას;
- ❖ კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის დეპარტამენტის, ტექნიკური ზედამხედველობის სფეროში საერთაშორისო აკრედიტაციის ISO/IEC -17020: 2012/2013 მიღებას.

სტრატეგიული მიზანი 3

კადრების კვალიფიკაციის ამაღლება და საერთაშორისო პროფესიულ და ლაბორატორიათაშორის ტესტირებებში მონაწილეობის მიღება

კვლევის ახალი მეთოდების დანერგვასთან ერთად, მნიშვნელოვანია პერსონალის მუდმივი გადამზადება/დატრენინგება.

კადრების კვალიფიკაციის ამაღლება ითვალისწინებს:

- ბიუროს თანამშრომლების ადგილობრივ და საერთაშორისო პროფესიულ ტრენინგებში მონაწილეობის მიღებას;
- საერთაშორისო კონფერენციებში და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობას;
- საერთაშორისოდ აღიარებულ საექსპერტო დაწესებულებებში, ბიუროს თანამშრომლების ვიზიტებს, სამუშაო პროცესის ადგილზე გაცნობის მიზნით;
- ბიუროს საერთაშორისო საკვალიფიკაციო და ლაბორატორიათაშორის ტესტირებებში მონაწილეობა, საუკეთესო საშუალებაა დანერგილი კვლევის მეთოდების/პროცედურების და შესაბამისი პერსონალის კვალიფიკაციის მონიტორინგისთვის.

საკვალიფიკაციო და ლაბორატორიათაშორის ტესტირებებში მონაწილეობა ითვალისწინებს:

- სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელის (ENFSI) -ის ფარგლებში დაგეგმილ ლაბორატორიათაშორის ტესტირებებში სისტემატიურ მონაწილეობას;
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ პროფესიულ და ლაბორატორიათაშორის ტესტირებებში მონაწილეობას;
- ტესტირებებში მიღებული მაღალი შედეგების შენარჩუნებას/მიღებას;

სტრატეგიული მიზანი 4

ექსპერტიზის ბიუროს რეგიონალური მნიშვნელობის სასწავლო/ტრენინგ ცენტრის დაარსება

იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლო ექსპერტიზის ბიუროსათვის პრიორიტეტული ამოცანაა თავისი საქმიანობა განახორციელოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, სულ უფრო რთულდება ექსპერტიზის კუთხით მაღალ კვალიფიციური კადრების მოძიება. ბიუროს მიერ ჩატარებული კონკურსების შედეგებმა აჩვენა, რომ დასაქმების მსურველების უმრავლესობას გააჩნია მხოლოდ თეორიული განათლება და ხშირ შემთხვევაში საკმაოდ მწირია მათი პრაქტიკული ცოდნა.

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო წამყვანი და უნივერსალური სასამართლო ექსპერტიზის ლაბორატორიაა მთელს რეგიონში, ასევე ხშირია მომართვა მეზობელი ქვეყნების საექსპერტო დაწესებულებებიდან ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში სასწავლო გაცვლითი პროგრამები დანერგვის, მათი ექსპერტების ბიუროში მოწვევის გამოცდილების გაზიარების და პრაქტიკული ცოდნის გაღრმავების მიზნით. ბიურო შესაძლებლობის ფარგლებში მუდმივად ეხმარება კოლეგებს, თუმცა მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილება ხშირად შეუძლებელია.

რეგიონალური მნიშვნელობის სასწავლო ცენტრის დაარსება უზრუნველყოფს ექსპერტიზის სფეროში დასაქმებული პერსონალის, ან დასაქმების სურვილის მქონე პირთა პრაქტიკულ და თეორიულ დონეზე მომზადებას, გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას, სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის წახალისებასა და ექსპერტიზის სფეროში არსებული ლიტერატურის ხელმისაწვდომობას.

სასწავლოს ცენტრი ფუნქციებად განსაზღვრულია:

ექსპერტიზის სფეროში დასაქმებული პერსონალის ან დასაქმების სურვილის მქონე პირთათვის შესაბამისი სასწავლო პროგრამების შემუშავება;

- ექსპრტიზის სფეროში დასაქმებული პერსონალის ან დასაქმების სურვილის მქონე პირთა მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება;

- რეგიონული თვითმმართველობის უწყებების ტექნიკური ზედამხედველობის სტრუქტურებთან თანამშრომლობა, მათდამი დაქვემდებარებული პერსონალის მომზადების, გადამზადების და კვალიფიკაციის ასამაღლებელი სასწავლო პროგრამების შემუშავების მიზნით;

- სასწავლო პროგრამების მონაწილეთა ტესტირება;
- ტრენერთა ჯგუფის ჩამოყალიბება და კოორდინირება;
- ტრენერთა პერიოდული გადამზადება როგორც მოწვეული სპეციალისტების მიერ, ასევე მომზადება და სტაჟირება საზღვარგარეთის ანალოგიურ სასწავლო ცენტრებში;
- მეთოდური და დამხმარე ლიტერატურის შემუშავება და გამოცემა;
- ექსპერტიზის სამოქმედო სფეროსთვის შექმნილი უცხოური ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა;
- სასწავლო ცენტრის ბიბლიოთეკის რეგულარული განახლება და ფუნქციონირება;
- ურთიერთობა და თანამშრომლობა უცხოეთში მოქმედ ანალოგიურ სასწავლო ცენტრებთან, საზოგადოებრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
- საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის განხორციელება, რომელიც ხელს უწყობს და ემსახურება სასწავლო ცენტრის მიზნების მიღწევას.

სტრატეგიულ გეგმაში დასახული მიზნების მისაღწევად ბიურო ახორციელებს:

- ✓ მაღალი ხარისხის ექსპერტიზისათვის საჭირო თანამედროვე მოწყობილობების მოძიებასა და გამოყენებას;
- ✓ ბიუროს წარმატებული საქმიანობისთვის საჭირო ფინანსური წყაროების მოძიებას;
- ✓ ბიუროს ინფრასრუქტურის გაუმჯობესებას;
- ✓ ბიუროს რეგიონალურ სტრუქტურულ ერთეულებში ექსპერტიზების სახეობების გაფართოვებას;
- ✓ ექსპერტიზის ხარისხიანად ჩატარებისათვის, შესაბამისი ცოდნისა და კვალიფიკაციის მქონე ექსპერტების დასაქმებას;
- ✓ მომსახურე პერსონალის მუდმივ გადამზადებას მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;
- ✓ საერთაშორისოდ აღიარებული სამეცნიერო კვლევის მეთოდების გამოყენებას;
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელებას;
- ✓ აკრედიტაციის სფეროების გაფართოვებას და შენარჩუნებას აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოდან და საერთაშორისოდ აღიარებული ლაბორატორიის აკრედიტაციის ორგანოებიდან;
- ✓ მომსახურების ბაზრის შესწავლას;
- ✓ დამკვეთებისაგან რეკომენდაციების მიღებას და არსებული ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში მათი მოთხოვნების გათვალისწინებას;
- ✓ ხარისხის სისტემის შიდა და გარე აუდიტების ჩატარებას და შედეგად მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებას არსებული ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში.